ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტიდან წარმომადგენლობითი საბჭოსთვის საბჭოს წევრების კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-14 მუხლის, მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 25 იანვრის №1 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-3 და მე-4 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. დაინიშნოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები საინჟინრო ფაკულტეტიდან 1 ვაკანტურ ადგილზე.

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტიდან, წარმომადგენლობით საბჭოში წარმომადგენლობით საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 28 ოქტომბრიდან 2013 წლის 8 ნოემბრის ჩათვლით, ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5).

3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

   ა) კანდიდატის სახელი და გვარი, მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით;

   ბ) ფაკულტეტის სახელწოდება;

4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას

უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 3 დღის ვადაში.

5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტს დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2013 წლის 1 ნოემბრამდე მიაწოდოს აკადემიური პერსონალისა სია, პირადი ნომრის მითითებით.

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტიდან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2013 წლის 21 ნოემბერს 11:00 საათიდან 13:00 საათამდე.

7. უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამდივნოს, საინჟინრო ფაკულტეტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

რექტორი გიგი თევზაძე